ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინტელექტი
ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი

# მიგრანტი

ჩანართს გამოსცემს
ახალგაზრდა მეცნიერთა
კავშირი „ინტელექტი“.

№25 / 2017

## წარმატებული ბენეფიციარები

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ეკოლოგიური და შრომითი მიგრანტებისთვის ახორციელებს პროექტს „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“. პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მცირე ბიზნესის დაფინანსების საგრანტო პროგრამა. პროექტის ფარგლებში ამ ეტაპისთვის 14 ბიზნესი დაფინანსდა.

ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: სალომე აგულაძე
მისამართი: ბათუმი, ფიროსმანის № 18
ტელ.: 24 16 40; ფაქსი: 24 16 50
მობ: 592 57 18 00
ელფოსტა: info@intellect.ge
ვებგვერდი: intellect.ge

# „რაც მინდოდა, ყველაფერი მივიღე“

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ თანამშრომლებმა პროექტის – „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმში მდებარე სოციალური სახლის ეზოში საინფორმაციო შეხვედრა გამართეს და იქ მცხოვრებლებს პროექტის პროგრამები გააცნეს.

შეხვედრას 24 წლის ეკომიგრანტი იმედა კორძაიაც დაესწრო. ის მცირე ბიზნესის დაწყება-განვითარების კომპონენტით დაინტერესდა, ჩაერთო პროექტში და გრანტის მისაღებად ყველა ეტაპი წარმატებით გაიარა.

„სანამ „ინტელექტის“ პროექტის ფარგლებში გრანტს მოვიპოვებდი, მანამდე, როგორც მოსწავლე, დამხმარედ ვმუშაობდი ერთ-ერთ ავტოსახელოსნოში. მცირე შემოსავალიც მქონდა, მაგრამ როცა პროექტის შესახებ გავიგე, მოვინდომე საკუთარი ავტოსახელოსნოს გახსნა. გამიმართლა, ჩემმა ბიზნესგეგმამ გაიმარჯვა და გრანტი მოვიპოვე.

შევიძინე ყველაფერი, რაც საჭიროა ავტოსახელოსნოსთვის. ხშირია შემთხვევა, როცა მანქანის შეკეთებისას აუცილებელია წნეხით დაპრესვა. ვისაც ეს წნეხი არ აქვს, კლიენტს სხვაგან უშვებს. მე კი ეს საშუალება უკვე ადგილზე მაქვს.

კლიენტებიც საკმაოდ მყავს, ძირითადად სავალი ნაწილების შეკეთება-გარემონტებაზე ვმუშაობ. ვგეგმავ დამხმარის აყვანასაც.

თვეზე მეტია, რაც საკუთარი სახელოსნო გავხსენი და ჩემი ეკონომიკური მდგომარეობა უკვე საგრძნობლად შეიცვალა – შემოსავალი გაიზარდა.

მინდა, ყველა მიგრანტს ვუთხრა, რომ არასდროს დანებდნენ და მიზანს ბოლომდე მიჰყვნენ. ამ გზით მე ყველაფერი მივიღე, რაც მინდოდა,“ – ამბობს იმედა კორძაია.

# მეფუტკრე ქალი ქობულეთიდან

„ინტელექტის“ პროექტით – „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზენითში მცხოვრებმა 48 წლის შრომითმა მიგრანტმა, ლიანა ირემაძემაც ისარგებლა.

ლიანა 10 წლის განმავლობაში თურქეთის რესპუბლიკაში დადიოდა სამუშაოდ, მაგრამ ოჯახისგან მოწყვეტილს შორს ცხოვრება გაუჭირდა. გადაწყვიტა, საქართველოში დაბრუნებულიყო და თავისი მდგომარეობის შესაცვლელად გამოსავალი აქ მოეძებნა.

„სტამბულში სამუშაოდ იმიტომ დავდიოდი, რომ ჩემი ეკონომიკური მდგომარეობა შეცვლილიყო. შვილი არ მიჩნდებოდა, ექიმთან გამოკვლევებზე მისასვლელად და წამლების შესაძენად კი ფული არ მქონდა. ასევე, გასაყოფი ოჯახი გვქონდა და სახლის აშენებაც მინდოდა.

„ინტელექტის“ პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ შესახებ პარტნიორი ორგანიზაციისგან – „ღირსეული სიბერე“ – გავიგე.

თავდაპირველად უფასო სწავლის კომპონენტით ვისარგებლე. საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ მზარეულის კურსი გავიარე. შემდეგ ბიზნესის კომპონენტითაც დავინტერესდი. თავიდან სწრაფი კვების ობიექტის გახსნაზე ვფიქრობდი, მაგრამ რადგანაც სოფელში ფუტკრის 10 ოჯახი მყავდა, სწრაფი კვების ობიექტი კი ქალაქში იქნებოდა, ორივე საქმეს ერთად ვერ მოვახერხებდი, ამიტომ ავირჩიე მეფუტკრეობა,“ – ამბობს ლიანა.

როგორც ლიანა ამბობს, ბიზნესის წამოწყების სურვილი ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობა არ უწყობდა ხელს. „ინტელექტმა კი შესაძლებლობა მომცა, ჩემი სურვილების განხორციელებაზე მეფიქრა.

ოპტიმისტი ვარ, ყოველთვის კარგს ვფიქრობ და როცა ბიზნესგანაცხადი შევიტანე, მჯეროდა, რომ დამაფინანსებდნენ. ჩემი მოლოდინი გამართლდა.

ფუტკრის 10 ოჯახი მყავდა, 30 დაფინანსებით შევიძინე და 20 ახალი ოჯახი მყავს ჩემი ფუტკრებისგან, გამრავლდნენ.

მომხმარებელს ვთავაზობ ნატურალურ თაფლს, სანთელს, დინდგელს, თაფლის არაყს, რომელსაც მე და ჩემი მეუღლე ვამზადებთ. ჯერჯერობით მცირე რაოდენობით. უფრო რომ გამრავლდებიან, ალბათ წარმოებასაც გავზრდით.

ჩემი ცხოვრება შეიცვალა. დღეს მეწარმე ქალი მქვია, ჩემი ბიზნესი მაქვს. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ აგვისტოში დედა გავხდები, შვილი უნდა ავიყვანო და ალბათ ახალწლამდე სახლის მშენებლობასაც დავასრულებ და ახალ სახლში შევალ შვილთან ერთად.

ყველა მიგრანტს ვურჩევ, დაბრუნდნენ საქართველოში, „ინტელექტის“ მსგავს ორგანიზაციებს მიმართონ და დარწმუნებული ვარ, მათი ცხოვრებაც შეიცვლება, გაცილებით უკეთესი გახდება.

სამომავლოდ დიდი გეგმები მაქვს, პირველ რიგში კი, მინდა თაფლის მაღაზია გავხსნა ქობულეთში,“ – ამბობს ლიანა ირემაძე.